



საქართველო ღვინის აკვანი  
თეთრი ქაღალდი  
2022 წელი 23 ოქტომბერი

GCWine (GCW) ტოკენი არის უტილიტი ტოკენი და გახდება ხიდი რეალურ ბიზნესსა და დიგიტალურ სამყაროს შორის



## მნიშვნელოვანი ინფორმაცია

---

გაფრთხილებთ ყურადღებით წაიკითხეთ WHITE PAPER-ი, განსაკუთრებული ყურადღება გაამხვილეთ 5-11 გვერდებზე, რათა უკეთ გაიაზროთ და გათვალოთ თქვენი რისკ ფაქტორები. ჩვენ პასუხს არ ვაგებთ და სრულად ვიხსნით პასუხისმგებლობას ფინანსურ დანაკარგებზე, მიუხედავად იმისა გაეცანით თუ არა ამ WHITE PAPER -ს და გათვალეთ თუ არა ყველა რისკი.

ეს WHITE PAPER-ი შესაძლებელია მომზადებული/გადათარგმნილი იყოს სხვადასხვა ენაზე. ამ ვერსიებს შორის თარგმნის და სხვა უზუსტობების/შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ვერსიას.



## აბსტრაქტი

- „პასუხისმგებლობის უარყოფა“ - 5
- „არანაირი მითითებები და რეკომენდაციები“ ; „არანაირი დამატებითი ინფორმაცია და განახლებები“ - 6
- " არავითარი პასუხისმგებლობა და გარანტია ჩვენი მხრიდან " , „ თქვენი პირადი პასუხისმგებლობის და გარანტიების საკუთარ თავზე აღება " - 7
- „ White paprer - ის გავრცელების შეზღუდვა " - 8
- "გამაფრთხილებელი შენიშვნა მომავალზე ორიენტირებული განცხადებების/ხედვის შესახებ " - 9
- „ არანაირი ფასიანი ქაღალდების შეთავაზება " - 10
- „რისკები და არასტაბილურობა "გამოიჩინეთ სიფრთხილე და ყურადღება" - 11
- ფირმის საქმიანობა - 12
  - მოკლევადიანი გეგმები -13
  - ევროპული გზა; - 13
  - მსოფლიო გზა. - 13
  
  - გრძელვადიანი გეგმები - 14
  - საკუთარი ქარხნის მშენებლობა; -14

- პარტნიორების მოძიება; 14
- რატომ გადავწყვიტეთ ტოკენის შექმნა და იცოს გაკეთება. 14-15
- რა არის **GCWine (GCW)** ტოკენი - 16
  - რა არის უტილიტი ტოკენი და რატომ **BNB(BEP20)** სმარტჩაინი - 16
- როგორ გამოვიყენებთ **GCWine (GCW) Token** ტოკენის -17
  - მოკლევადიანი მიზნებისთვის გამოყენება; - 17
  - გრძელვადიანი მიზნებისთვის გამოყენება; - 18
  - მაღაზიები და რესტორნები; -19
  - საგადასახადო ერთეული სასურსათო სფეროში; -19
- **ICO-ს მიმდინარეობა - 20**
- **ტოკენის განაწილება ანუ ტოკენომიკა -21**
  - განაწილება -21 - 23
- **ქველმოქმედება -24**
- **ლინკები - 25**
- **დასკვნა -26**

ყველაფერს, რასაც ამ **White paper**-ის საშუალებით გაეცნობით, არის მხოლოდ საინფორმაციო ხასიათის მატარებელი და მის შინაარსზე დაყრდნობა არ შეიძლება. ამ **White paper**-ში ასახული ნებისმიერი ხასიათის და შინაარსის ინფორმაციის გამოყენებამ შესაძლოა თქვენ მოგაყენოთ ფინანსური ზარალი, შესაბამისად ვიდრე განახორციელებთ რაიმე ქმედებას და მიიღებთ რაიმე გადაწყვეტილებას რომელიც ამ **White paper**-ს ეფუძნება, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ თქვენს იურიდიულ, ფინანსურ, საგადასახადო ან სხვა სპეციალისტს და გაიაროთ მათთან შესაბამისი კონსულტაცია, რათა თავიდან აიცილოთ ფინანსებთან დაკავშირებული ზარალი.

## „პასუხისმგებლობის უარყოფა“

გაფრთხილებთ, რომ ამ **WHITE PAPER**-ში არსებული ინფორმაცია არ წარმოადგენს შეთავაზებას ან რჩევას, რომ თქვენ შეიძინოთ რაიმე აქცია, სხვა ფასიანი ქაღალდი ან ნებისმიერი სხვა ფინანსური დოკუმენტი და იგი გამიზნული არაა იმისთვის, რომ თქვენ მოგაწოდოთ რაიმე საინვესტიციო ხასიათის მომსახურება ან რჩევები ინვესტირებასთან დაკავშირებით რომელიმე ქვეყანაში ან ტერიტორიაზე. მასში არსებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, თუმცა ჩვენ არ ვიძლევიტ გარანტიას მის სისწორეზე და ვარგისიანობაზე, მასში არსებულ შეცდომებსა და უზუსტობაზე. მომხმარებელი ეცნობა, იყენებს და ენდობა ამ ინფორმაციას მხოლოდ საკუთარი რისკით. ჩვენ პასუხს არ ვაგებთ და სრულად ვიხსნით პასუხისმგებლობას ფინანსურ დანაკარგებზე, დანახარჯებზე, ზარალზე, ეს იქნება პირდაპირი თუ არაპირდაპირი, ნებისმიერი ფორმით რომელიც გამომდინარეობს ამ **WHITE PAPER**-ის სარგებლობით, მიუხედავად იმისა გაეცანით თუ არა და გეცნობათ თუ არა ასეთი დანაკარგების შესაძლებლობის თაობაზე.

ამ **WHITE PAPER**-ში განთავსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცის, მათი ნებისმიერი ფორმით თქვენ მიერ გამოყენება თქვენი პირადი რისკია ცალსახად და ამაზე პასუხისმგებლობა გეკისრებათ თქვენ. ვაჭრობა არის ძალიან სარისკო საქმიანობა, რამაც შეიძლება დიდი ზარალი გამოიწვიოს, ამიტომ, გაფრთხილებთ, აქ არსებული ინფორმაციის შეფასებისას გამოიყენოთ პროფესიონალების რჩევა. გადაწყვეტილების მიღებამდე, მიმართეთ გაიარეთ კონსულტაცია შესაბამის პირებთან.

გაფრთხილებთ, ამ **WHITE PAPER**-ის ან მისი რომელიმე ნაწილის გამოყენებამ თქვენ შესაძლოა მოგაყენოთ ფინანსური ზარალი, რისთვისაც ჩვენ სრულად ვიხსნით პასუხისმგებლობას.

## „არანაირი მითითებები და რეკომენდაციები“; „არანაირი დამატებითი ინფორმაცია და განახლებები“

ამ **White Paper**-ში მოცემული ინფორმაცია არ უნდა განიხილებოდეს როგორც ბიზნეს, იურიდიულ, ფინანსურ ან საგადასახადო რჩევად ან კონსულტაციად, ამისთვის თქვენ უნდა მიმართოთ თქვენს იურიდიულ, ფინანსურ, საგადასახადო ან სხვა მრჩეველს.

თქვენ უნდა გესმოდეთ და აცნობიერებდეთ იმას, რომ ნებისმიერ დროს, შესაძლოა მოგიწიოთ ფინანსური სირთულეები და რისკები ნებისმიერი **GCWine (GCW)** ტოკენის შეძენის შემთხვევაში.

გუნდი და მისი წევრები არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ უნდა შეიძინოთ GCWine (GCW) ტოკენი ან განახორციელოთ რაიმე სახის ინვესტიცია.

არავინაა უფლებამოსილი გასცეს რაიმე ინფორმაცია ან განახორციელოს წარმომადგენლობა ფირმასთან ან მის ბიზნესთან დაკავშირებით, რომელსაც არ შეიცავს **white paper**-ი, თუ ასეთი ქმედება განხორციელდება, იგი არ უნდა ჩაითვალოს როგორც ავტორიზებული ფირმის ან მისი სახელით განხორციელებული და მას არ უნდა დაეყრდნოთ.

## "არავითარი პასუხისმგებლობა და გარანტია ჩვენი მხრიდან", "თქვენი პირადი პასუხისმგებლობის და გარანტიების საკუთარ თავზე აღება"

ჩვენ არ ვიძლევიტ გარანტიას და არ გავცემთ რაიმე სახის დაპირებას და ამით ვიხსნით პასუხისმგებლობას სრულად ნებისმიერი სუბიექტის, ფიზიკური და იურიდიული პირის წინაშე, ამ **White Paper**-ში მოცემული ნებისმიერი სახის ინფორმაციის სისრულეზე, სიზუსტეზე, სანდოობასა და ვარგისიანობაზე.

ამ **White Paper**-ზე ნებისმიერი ფორმის წვდომით თქვენ ადასტურებთ, რომ იგი არ არის შეთავაზება, ან რჩევა და არ არის გამიზნული იმისთვის, რომ თქვენ შეიძინოთ რაიმე აქცია, სხვა ფასიანი ქაღალდი ან ნებისმიერი სხვა ფინანსური დოკუმენტი და იგი გამიზნული არაა იმისთვის, რომ თქვენ მოგაწოდოთ რაიმე საინვესტიციო ხასიათის მომსახურება ან რჩევები ინვესტირებასთან დაკავშირებით რომელიმე ქვეყანაში ან ტერიტორიაზე; ეთანხმებით, იმას, რომ ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის დანაკარგზე ზარალზე; ეთანხმებით იმას, რომ **GCWine (GCW)** ტოკენის მომავალი ვაჭრობა ნებისმიერ კრიპტოვალუტის ბირჟაზე არ უნდა იქნეს გაგებული ან მიჩნეული თქვენს მიერ, როგორც **GCWine (GCW)** ტოკენების, უპირატესობების მითითება; თქვენ ადასტურებთ, იმას, რომ თქვენ არ ხართ შეერთებული შტატების მოქალაქე, რეზიდენტი ან ამერიკის შეერთებული შტატების მწვანე ბარათის მფლობელი და არ გაქვთ უფლება შეიძინოთ **GCWine (GCW)** ტოკენი. ასევე ეთანხმებით, იმას, რომ არცერთ ხელისუფლების ორგანოს არ შეუსწავლია ამ **WHITE PAPER**-ში მოცემული ინფორმაცია, შესაბამისად იგი ვერ მოექცევა რომელიმე ქვეყნის ან ტერიტორიის იურისდიქციის ფარგლებში.

## „ White paper - ის გავრცელების შეზღუდვა“

გაფრთხილებთ, რომ ამ **White paper**-ის გავრცელება შეიძლება შეზღუდული იყოს რომელიმე ქვეყანაში ან ტერიტორიაზე და ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ ადგილობრივ კანონმდებლობას, იმ შემთხვევაში თუ თქვენ მაინც განიზრახეთ მისი რაიმე ფორმით გავრცელება თქვენ იქნებით პასუხისმგებელი შესაბამის ადგილობრივ შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო კანონმდებლობაზე პასუხისმგებელი.



## "გამაფრთხილებელი შენიშვნა მომავალზე ორიენტირებული განცხადებების/ხედვის შესახებ"

თავისი ბუნებით, მომავალზე ორიენტირებული განცხადებები მოიცავს რისკებს, არსებობს იმის რისკი, რომ წინასწარ გათვლილი პროგნოზები არ გამართლდეს და შესაბამისად მომავლის ხედვები ვერ იქნას მიღწეული და შესრულებული, შესაბამისად ინვესტორებმა უნდა გააცნობიერონ და გათვალონ, რომ მომავალზე ორიენტირებულმა განცხადებებმა შესაძლოა არსებითად განსხვავებული შედეგი გამოიღოს ვიდრე ეს მოსალოდნელია მომავალზე ორიენტირებული განცხადებებისგან.

**WHITE PAPER**-ში ასახული ნებისმიერი სახის ინფორმაცია, თუ განცხადება შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც მომავალზე ორიენტირებულად, ასეთებია მაგალითად: კომპანიის გეგმები; მიზნები; ბიზნეს სტრატეგია და სხვა.

გაფრთხილებთ, აქ წარმოდგენილი ინფორმაციები არის მომავლის გეგმები, რის განხორციელებასაც მომავალში ვაპირებთ. აქ წარმოდგენილ ინფორმაციას ნუ განიხილავთ როგორც რაიმე სახის დაპირებას ან რჩევას, შესაბამისად ვიხსნით ყოველგვარ პასუხისმგებლობას მისი შეუსრულებლობის და მიუღწევლობის გამო, რომელიც შეიძლება სხვადასხვა პირობების გამო შეიცვალოს ან ვერ შესრულდეს.

მომავალზე ორიენტირებული განცხადებები აქტუალურია მათი დაწერის თარიღისთვის. WHITE PAPER-ში მოცემული ინფორმაცია შესაძლოა გადაისინჯოს, განახლდეს და შევიდეს მასში რაიმე ცვლილება ინფორმაციის სახით, რასაც დარეგისტრირებული მომხმარებლები მიიღებენ შეტყობინების სახით. ის მომხმარებლები, რომლებიც არ იქნებიან დარეგისტრირებული, შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ სიახლეებს მათი სურვილის მიხედვით.

## „არანაირი ფასიანი ქაღალდების შეთავაზება“

**GCWine (GCW)** ტოკენი არ არის გამიზნული ფასიანი ქაღალდების ან სხვა ფინანსური დოკუმენტების შესაძენად და არ არის გამიზნული იმისთვის, რომ მოგაწოდოთ რაიმე საინვესტიციო ხასიათი მომსახურება ან რჩევები ინვესტირებასთან დაკავშირებით რომელიმე ქვეყანაში ან ტერიტორიაზე.

ეს **White Paper** არ წარმოადგენს გაყიდვის შესახებ რჩევას ან მოსაზრებას, არც პრობლემის გადაჭრის გზას გთავაზობთ, არც რაიმე შეთავაზებაა და არც მომავალში იქნება, რომ თქვენ შეიძინოთ **GCWine (GCW)** ტოკენი ან რაიმე უპირატესობა მიანიჭოთ მას სხვასთან შედარებით. ნებისმიერი სახის ხელშეკრულების დადების ან საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღება არ დაუდოთ მას საფუძვლად.

გაფრთხილებთ, რომ GCWine (GCW) ტოკენის ყიდვა არ ნიშნავს, იმას რომ თქვენ რაიმე უფლება ან პრეტენზია გქონდეთ ფირმის „საქართველო ღვინის აკვანი“ -ს აქციებზე ან წილზე. GCWine (GCW) ტოკენის ყიდვით თქვენ ყიდულობთ მხოლოდ ამ ტოკენს.

## „რისკები და არასტაბილურობა“ „გამოიჩინეთ სიფრთხილე და ყურადღება“

ისინი ვინც GCWine (GCW) ტოკენის შეძენას აპირებენ, ნებისმიერი GCWine (GCW) ტოკენის შეძენის შემთხვევაში, (როგორც აღნიშნულია ამ White Paper-ში) ფრთხილად უნდა იყვნენ, შეაფასონ ყველა ის რისკი და გაურკვევლობა რომელიც დაკავშირებულია მასთან, ვინაიდან ნებისმიერი სახის რისკმა შეიძლება დაგაკარგინოთ ყველაფერი ღირებული.

არ არსებობს გარანტია, რომ ამ **White Paper**-ის ან მისი რომელიმე ნაწილის გამოყენება უზრუნველყოფს მასში აღწერილ შედეგებს და თქვენ რაიმე ფინანსურ სარგებელს მოგიტანთ, ეს ცალსახად თქვენი პირადი რისკია და ამაზე პასუხისმგებლობა გეკისრებათ თქვენ. ვაჭრობა არის ძალიან სარისკო საქმიანობა, რამაც შეიძლება დიდი ზარალი გამოიწვიოს, ამიტომ, გამოიჩინეთ სიფრთხილე, აქ არსებული ინფორმაციის შეფასებისას გამოიყენოთ პროფესიონალების რჩევა. გადაწყვეტილების მიღებამდე, მიმართეთ გაიარეთ კონსულტაცია შესაბამის პირებთან.

გაფრთხილებთ, BNB გადარიცხეთ მხოლოდ და მხოლოდ იმ საფულიდან, რომლის PRIVATE KEY - პირად გასაღებს აკონტროლებთ, არავითარ შემთხვევაში არ გადარიცხოთ რომელიმე ექსჩინჯერიდან და ბაზრიდან, ეს გამოიწვევს თქვენი ტოკენების დაკარგვას, რაზეც პასუხისმგებლობა გეკისრებათ თქვენ.

## ფირმის საქმიანობა

გაფრთხილებთ, ეს არ არის სავაჭრო პროსპექტი, რომელშიც მოცემულია საქონლის აღწერა და შეძენის პირობები, ამ სექციაში მოცემული ინფორმაცია ასახავს მხოლოდ ფირმის საქმიანობას.

საქართველო ღვინის აკვანი, საქართველოში დაარსებული ფირმაა, რომელიც ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

საქართველო ღვინის აკვანი არის ფირმა, რომლის მიზანია, გახდეს სიდიდით პირველი ღვინის ექსპორტიორი და მწარმოებელი ფირმა, არა მარტო საქართველოში, მის ფარგლებს გარეთაც, გააცნოს და პოპულარიზაცია გაუწიოს ქართული ღვინის კულტურის უნიკალურობას, მისი დაყენების და დამზადების ტრადიციას, რომელიც ქართველებს გენში აქვთ, თაობიდან თაობებს გადაეცემა და ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება.

საქართველო არის ღვინის სამშობლო სადაც თითქმის ყველა ოჯახი 8000 წლის წინანდელი დაწყებული ისტორიით აგრძელებს ღვინის დამზადებას, ზოგი საკუთარი ოჯახისთვის ამზადებს, ზოგმა იგი ბიზნესის წყაროდ აქცია, დღესდღეობით საკმაოდ წარმატებული და წამყვანი ღვინის კომპანიის მფლობელები არიან და თავიანთი პროდუქტი არამარტო საქართველოს, არამედ მთელ მსოფლიოს გააცნეს.

საქართველოში არიან ღვინის მწარმოებელი კომპანიები, რომლებსაც ადგილობრივი ბაზარი სრულად აქვთ ათვისებული, უამრავ კონკურსებში იღებენ მონაწილეობს რაც ეხმარება ადგილობრივ კომპანიებს მათი პროდუქტის რელიზებაში და ცნობადობის ამადლებაში, თუმცა მსოფლიო ბაზარი ძალიან კონკურენტუნარიანია და საჭიროა მარკეტინგული სტრატეგიის დაგეგმვა ადგილის დასამკვიდრებლად, ამისთვის კი უამრავი სამუშაოებია ჩასატარებელი.

სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩვენი მოკლევადიანი გეგმები.

## მოკლევადიანი გეგმები

„საქართველო ღვინის აკვანი“-ის მიზანია დაეხმაროს ქართული ღვინის კომპანიებს, რომელთაც სურს თავიანთი პროდუქტი გაიტანონ საერთაშორისო ბაზარზე რათა უკეთ გააცნონ სხვა ქვეყნებს ქართული ღვინის დაყენების ტრადიცია, მისი უნიკალური გემო და არომატები.

ჩვენი მიზანია, ვითანამშრომლოთ წარმატებულ და ცნობილ ღვინის მწარმოებელ კომპანიებთან, რომლებმაც სახელი გაითქვეს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე, თუმცა არ აქვთ მასშტაბური დაფარვა. ჩვენ საერთაშორისო ბაზარზე ექსპორტის გაზრდას დავიწყებთ ევროპის ქვეყნებით, რადგან საქართველო არის უძველეს ევროპელთა სამშობლო, ეს ფაქტი მეცნიერების მიერაა შესწავლილი და დადასტურებული და ძალიან ცოტამ თუ იცის ამის შესახებ.

ევროპის ქვეყნები, ღვინის უდიდესი მწარმოებლები არიან მსოფლიოში და შესაბამისად ჰყავთ უამრავი მომხმარებელი. ღვინის ბაზარი ყოველწლიურად იზრდება და ვითარდება, რადგან ქვეყნებს აქვს პოტენციალი აწარმოოს მაღალი ხარისხის ღვინო, რომელიც შეესაბამება მსოფლიოში დადგენილ სტანდარტებს, აქედან გამომდინარე ყოველწლიურად **5%** დან **10%** მდე მატულობს ღვინის მწარმოებელი კომპანიების რაოდენობა და შესაბამისად იზრდება წარმოების მოცულობაც, რას ჩვენი ფირმისთვის მეტად სახარბიელოა და სტიმულს გვაძლევს.

## ევროპული გზა

ევროპის ქვეყნებში ექსპორტის დაწყების პარალელურად, მოხდება საიტის დამზადება, სადაც შესაძლებელი იქნება საწყობებში ჩასვლისთანავე დაიწყოს გაყიდვები, რათა ულოკლეს ვადებში შეძლოთ პროდუქციის შექმნა.

## მსოფლიო გზა

ევროპის ქვეყნებში ექსპორტის შემდგომ გაფართოების მიზნით მოხდება სხვადასხვა კონტინენტებზე პროდუქციის ექსპორტი ღვინის ბაზრის სიდიდის პრიორიტეტების მიხედვით.

როდესაც ჩვენი პროდუქციის გავრცელების არეალი მსოფლიოს ყველა კონტინენტს მოიცავს, შემდეგ დაიწყება გრძელვადიანი პროექტების განხორციელება.

## გრძელვადიანი გეგმები

### საკუთარი ქარხნის მშენებლობა.

გრძელვადიანი გეგმები მიზნად ისახავს საკუთარი ქარხნის მშენებლობას. როდესაც ჩვენი გეგმები განხორციელდება და ჩვენს მწარმოებლებთან ერთად ფებს მოვიკიდებთ მსოფლიო ბაზარზე დავიწყებთ „საქართველო ღვინის აკვანი“-ს ქარხნის მშენებლობას, რათა ვაწარმოოთ ჩვენი ღვინო, რომლის დაყენების ტექნოლოგია დაფუძნებული იქნება ქართულ უძველეს ტრადიციებზე და მეღვინეობის უახლეს თანამედროვე მეთოდებზე, ასევე დაცული იქნება მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიური თუ სამეცნიერო სტანდარტები, რის შედეგად შევქმნით მაღალი ხარისხის ღვინოს.

საკუთარი ღვინის წარმოების დაწყების პარალელურად ვგეგმავთ ქართული მაღაზიების და რესტორნების გაკეთებას მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში, რათა ქართული ღვინის კულტურის უნიკალურობა და ტრადიციები უკეთ გავაცნოთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს, პროდუქციის შექმნა ონლაინ გაყიდვების პარალელურად მაღაზიებში და რესტორნებშიც იქნება შესაძლებელი.

### პარტნიორების მოძიება.

როდესაც ჩვენ დასახულ მიზანს წარმატებით მივაღწევთ, შემდგომ დავიწყებთ პარტნიორების შეძენას სასურსათო ბიზნესში, მაღაზიებში, რესტორნებში, ბარებში, რათა აქცეპტირება გაუკეთონ **GCWine (GCW)** ტოკენს და ასევე ჩვენს პარტნიორებთანაც შეძლოთ **GCWine (GCW)** ტოკენის, მისი როგორც გადახდის საშუალებად გამოყენება. პარტნიორების შექმნის უმთავრესი ამოცანაა, მოგების სწრაფი ზრდა, რათა ჩვენი წარმოება ვაქციოთ კიდევ უფრო წარმატებულად და განვითარებულად მომსახურების ბაზარზე. პარტნიორებთან თანამშრომლობა ითვალისწინებს ასევე ინტელექტუალურ, ფიზიკურ და მატერიალურ, პროდუქციის გაყიდვებზე მხარდაჭერას.

### რატომ გადავწყვიტეთ ტოკენის შექმნა და იცოს გაკეთება.

„საქართველო ღვინის აკვანი“-ს დამფუძნებლის დირექტორ უშანგი მატიაშვილის აზრით, ბლოკჩაინი არის მომავლის ტექნოლოგია, რომელსაც განვითარება და ხელის შეწყობა სჭრდება, ამის ერთ ერთი საუკეთესო საშუალებაა რეალურ ბიზნესში ინტეგრირება, რაც სამწუხაროდ ბიტკოინმა არც ისე კარგად შეძლო, რადგან

ბიტკოინი ჩამოყალიბდა როგორც დიგიტალური ოქრო და გადარიცხვების სიძვირის გამო ვერ გამოიყენება როგორც გადახდის საშუალება, მაგალითისთვის მოვიყვან პირველ საერთაშორისო ბიტკოინის ტრანზაქციას, რომელიც უკვე წარსულს ჩაბარდა, რა დროსაც ერთ ერთმა პროგრამისტმა ფორუმზე განაცხადა, რომ პიცის მიტანის სანაცვლოდ **10 000** ბიტკოინს გადაიხდიდა, დღეს კრიპტო ვალუტის ფასი ბევრად დიდია, ხოლო ზევით ნახსენები პიცა ისტორიაში ყველაზე ძვირი პიცაა, დღეს ეს პიცა რამდენიმე მილიონი დოლარი ეღირებოდა. რამდენიმე წელიწადში რამდენიმე ასეული მილიარდი გახდება, ასეთ რისკზე წასვლა საკმაოდ რთულია, ასე გადაიქცა ბიტკოინი ღირებულების შესანარჩუნებელ საშუალებად, რომელსაც ხშირად დიგიტალურ ოქროსაც კი ეძახიან. აქედან გამომდინარე საჭირო გახდა შეიქმნას ტოკენი რომელსაც ექნება ბიტკოინთან შედარებით ბევრად დიდი მთლიანი რაოდენობა, ეღირება ბიტკოინზე ბევრად ნაკლები და ექნება ბევრად ნაკლები გადარიცხვების ღირებულება, რადგან იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და იაფი გამოსაყენებლად, მასაც გააჩნია ზედა ზღვარი მთლიანი რაოდენობის, როგორც ბიტკოინს, რათა არ მოხდეს ინფლაციური ბეჭდვა, რომელსაც შეჩვეულები ვართ ეგრეთ წოდებული ქეშისგან.

სწორედ ასე დაიბადა ახალი ტოკენის შექმნის იდეა, ასევე საჭირო იყო ამ ტოკენის ბაზართან დაკავშირება და ბიზნესში ჩართვა, რათა მან როგორც საგადასახადო ტოკენმა იფუნქციონიროს, ამისთვის გადაწყდა ICO გაკეთება, რათა გაყიდული ტოკენებიდან შემოსული თანხით, საყვარელი საქმეც ეკეთებინა და ტოკენს როგორც ანგარიშწორების საშუალებას ისე გამოიყენებდა და ამით ავტომატურად დააკავშირებდა რეალური ბიზნესს დიგიტალურ მომავალთან.

საქართველო დიდი ხანია ღვინის სამშობლოს სტატუსით სარგებლობს. როგორც ყველა ქართველის ოჯახში, მის ოჯახშიც ქართული ღვინო მზადდება უძველესი ტრადიციული მეთოდით, რომლის დამზადებაშიც მას ხშირად მიუღია მონაწილეობა და საკმაოდ კარგად იცნობს ღვინის დამზადების ტექნიკას, რომელიც ქართველებს გენში აქვთ გამჯდარი და მათი სავიზიტო ბარათია, ღვინის სიყვარული მისთვის ასოცირდება ქართველი ხალხის კულტურულ ღირებულებებში, რწმენაში და ადათ წესებში, რომელსაც უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე ფესვები აქვს გამჯდარი, სწორედ ამიტომ, მიზნად დაისახა შეიქმნა მეტადრე განვითარებულ და მომავლის დიგიტალურ სამყაროს მამომრავებელ ბოლოკჩაინს დახმარებით **GCWine (GCW)** ტოკენი, რომლის მეშვეობთაც მსოფლიოსთვის ქართული ღვინო და ქართული ღვინის უნიკალური კულტურის გაცნობა იქნება შესაძლებელი.

## რა არის **GCWine (GCW)** ტოკენი

**GCWine (GCW)** არის უტილიტი ტოკენი და გახდება ხიდი რეალურ ბიზნესსა და დიგიტალურ სამყაროს შორის. რასაც პირველ რიგში ქართული ღვინის საზღვარგარეთ გატანით და გაყიდვით, ხოლო გრძელვადიანი მიზნებით საკუთარი ღვინის წარმოებით და სასურსათე ბიზნესში ჩართვით ვაპირებთ, GCWine (GCW) ტოკენი, დამზადებულია **BNB (BEP20)** სმარტჩაინზე და პირველი ორი ასო ფირმის სახელწოდების ინიციალებს წარმოადგენს, ხოლო სახელწოდებაში არსებული **Wine** ჩასმულია მთლიანად რადგან ღვინო იქნება პირველი, რასაც **GCWine (GCW)** ტოკენის საშუალებით შეიძენთ.

## რა არის უტილიტი ტოკენი და რატომ **BNB (BEP20)** სმარტჩაინი

დარწმუნებულები ვართ, წარმოდგენა გაქვთ და იცით რით განსხვავდება ტოკენი კოინისგან, თუმცა ორიოდე სიტყვით მიმოვიხილავთ მათ.

ტოკენი არის უკვე შექმნილ კოინის მაგალითად **ETH (ERC20)** ან **BNB (BEP20)** ან სხვა, მრავალ ბლოკჩაინზე დამზადებული დიგიტალური ერთეული, რომელსაც არ სჭირდება საკუთარი ბლოკჩაინი და მზადდება სპეციალური კონტრაქტის სმარტკონტრაქტის მეშვეობით, რომელიც შეგიძლიათ ჩვენს მთავარ გვერდზე იხილოთ.

ჩვენ ავირჩიეთ **BNB (BEP20)** რადგან, საკმოდ განვითარებულია და გადარიცხვების მხრივ ხელმისაწვდომი და მეტად კომფორტულია, რა თქმა უნდა **ETH(ERC20)** არის ერთერთი წამყვანი სმარტკონტრაქტებს შორის, თუმცა გადასახადების კუთხით მაინც მოიკოჭლებს, სწორედ ამიტომ ავირჩიეთ ნომერ მეორე სმარტკონტრაქტების ბლოკჩაინი, რომელიც მას დიდად არ ჩამოუვარდება.

თქვენ ასევე შესაძლებლობა გექნებათ იხილოთ ჭკვიანი კონტრაქტი ჩვენს მთავარ გვერდზე, რომელსაც გადაყავხართ ტოკენის და დექსის სმარტკონტრაქტზე.

არსებობს სხვადასხვა ტოკენის სახეობები, რომელთაგან ყველაზე გავრცელებული და ადვილი უტილიტი ტოკენია, როგორც ასეთი „გამოყენებადი ტოკენი“, **GCWine (GCW)** ტოკენი რომლის გამოყენების წესს ქვემოთ აღვწერთ.



## როგორ გამოვიყენებთ **GCWine (GCW) Token** ტოკენის

**GCWine (GCW)** არის უტილიტი ტოკენი, რომელიც შეგეძლებათ გამოიყენოთ ჩვენ ფირმაში.

### მოკლევადიანი მიზნებისათვის გამოყენება

მოკლევადიანი მიზნებისთვის გამოყენებაში მოიაზრება მისი გამოყენება, როგორც გადახდის საშუალება. თავიდან ჩვენი პარტნიორების მიერ წარმოებული ქართული საუკეთესო ხარისხის ღვინოები ბაზარზე გავა გასაყიდად, საშუალება გექნებათ, **GCWine (GCW)** ტოკენი როგორც გადახდის საშუალება ისე გამოიყენოთ. ეს კეთდება იმისთვის, რომ ავამაღლოთ და გავზარდოთ **GCWine (GCW)** ტოკენის გამოყენების ცნობადობა და ეფექტურობა. ასევე გვქნება **10%** ფასდაკლებები ჩვენს პროდუქციაზე, მათთვის ვინც **GCWine (GCW)** ტოკენს გამოიყენებს, როგორც გადახდის საშუალებად, ხოლო ვინც სხვა ადაპტირებულ კიონს **BNB, ETH, BTC** აირჩევს როგორც გადახდის საშუალებას, ისინი მიიღებენ **5 %** ფასდაკლებას, ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რათა გავაფართოვოთ კრიპტო ფულის გამოყენების საზღვრები და არეალი.

**GCWine (GCW)** ტოკენის გამოყენების გაფართოვების მიზნით, როდესაც ჩვენი საიტი ჩაეშვება, სადაც შეძლებთ ღვინის ყიდვას, შესაძლებლობა გექნებათ დარეგისტრირდეთ და გაიაროთ თქვენი საფულით ვერიფიკაცია, თუ თქვენ საფულეზე აღმჩნდება **50 000 000 000 000 000 GCWine (GCW)** ტოკენი რომელსაც მინიმუმ **6** თვე ფლობთ, ტოკენის მფლობელებს შეეძლებათ საკუთარი ეტიკეტით ღვინის შეკვეთა. გექნებათ საშუალება, რომ იყიდოთ ღვინო რომელსაც ექნება თქვენ მიერ შერჩეული და შექმნილი ეტიკეტი, მხოლოდ უკანა ეტიკეტზე იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაცია და წარწერა, რომ მწარმოებელი და ექსპორტიორი არის „საქართველო ღვინის აკვანი“.

წინა, მთავარი ეტიკეტის ასაწყობი ტული, რომლის დიზაინსაც თქვენ ირჩევთ, იქნება საიტში ჩაშენებული და მხოლოდ საფულის ვერიფიკაციის შემდეგ შეძლებთ მის გახსნას, რის შემდეგაც გახდებით ვიპ მომხმარებელი და ამ სტატუსით ისარგებლებთ ერთი წლის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ, თქვენ შეძლებთ აღიდგინოთ სტატუსი საფულის ხელახალი ვერიფიკაციით, რათა დაადასტუროთ, რომ მინიმუმ **6** თვე ფლობთ **GCWine (GCW)** ტოკენს.

## გრძელვადიან მიზნებისათვის გამოყენება

როდესაც „საქართველო ღვინის აკვანი“ დაასრულებს ღვინის ქარხნის მშენებლობას და დაიწყებს საკუთარი ღვინის წარმოებას,

იმ შემთხვევაში თუ თქვენ დაამტკიცებთ **50 000 000 000 000 000 GCWine (GCW)** ტოკენის ჰოლდვას თქვენს საფულეზე ერთი წლის განმავლობაში, მიიღებთ ორ წლიან ექსკლუზიურ უფლებას დაამზადოთ საკუთარი წარმოების ღვინო, რომელსაც საქართველოში არსებული **437** ჯიშის ყურძნიდან რამდენიმეს შეზავებით მიიღებთ. ტული შემოგთავაზებთ თუ რა ჯიშის ყურძნის კომბინაციებით შეიძლება შეიქმნას ახალი ღვინო და ასევე მოგაწვდით ინფორმაციას არებობს თუ არა ისეთი ღვინო, რომლის შექმნასაც თქვენ აპირებთ. ეტიკეტის წინა მხარეს ასევე შექმნით თქვენ მიერ შერჩეული დიზაინით, ხოლო უკანა ეტიკეტზე იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაცია და წარწერა, რომ მწარმოებელი და ექსპორტიორი არის „საქართველო ღვინის აკვანი“.

ამ დროისთვის საიტს დაემატება შეკვეთისათვის და ყურძნის ჯიშების შესარჩევად სპეციალური ტული და ასევე შეკვეთის სპეციფიკური მაჩვენებლები, რაც შეეხება შეკვეთის რაოდენობა, შეკვეთის დროს პროდუქციის ღირებულება და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ფირმის განვითარებასთან ერთად შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს საიტზე სათაურით - წესები და პირობები. ფირმის განვითარებასთან ერთად შეიცვლება წესები და პირობებიც, რასთან დაკავშირებითაც დარეგისტრირებული მომხმარებლები ინფორმაციას მიიღებენ ელ-ფოსტაზე მიიღებენ შეტყობინების სახით.

## მაღაზიები და რესტორნები

თქვენ საშუალება გექნებათ იშოპინგოთ ჩვენს მაღაზიებში, მიიღოთ საუკეთესო შეთავაზებები და ფასდაკლებები ჩვენს რესტორნებსა თუ სხვადასხვა მაღაზიებში, გადაიხადოთ **GCWine (GCW)** ტოკენით, რისთვისაც მიიღებთ **10%** ფასდაკლებას, ხოლო სხვა კრიპტო ვალუტების შემთხვევაში მიიღებთ **5%** ფასდაკლებას. ეს პრინციპი საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ კრიპტო ფულის მიმოქცევა და საზოგადოების წევრებს მიეცემათ საშუალება თამამად გამოიყენონ კრიპტო ვალუტები ვირტუალური სამყაროს გარეთ.

## საგადასახადო ერთეული სასურსათო სფეროში

როდესაც ჩვენი მაღაზიების/რესტორნების ქსელი ამუშავდება, დავიწყებთ სასურსათო ბიზნესში პარტნიორების ძებნას მსოფლიოს მასშტაბით, რომლებიც აქცეპტირებას გაუკეთებენ **GCWine (GCW)** ტოკენს და როგორც გადახდის სისტემა ჩანერგავენ თავიანთ მაღაზიებსა, რესტორნებსა თუ ბარებში, რაც უფრო მეტად გააფართოვებს კრიპტოს დაფარვის ზონას, რაც ყველა კრიპტო ვიზიონერის სურვილია.

## **ICO-ს მიმდინარეობა**

**ICO** ს დასაწყისი 2022 წლის 1 სექტემბერი

კერძო გაყიდვები 2022 წლის პირველი სექტემბრიდან 2022 წლის 30 ნოემბრამდე

საჯარო გაყიდვები 2022 წლის პირველი დეკემბრიდან 2023 წლის 30 ნოემბრამდე

ბაზრებზე გასვლა 2023 წლის 1 დეკემბრიდან.

## ტოკენის განაწილება ანუ ტოკენომიკა

სახელი: GCWine (GCW)

მაქსიმალური რაოდენობა: 105 000 000 000 000 000 000

ათწილადი: 18

როგორც უკვე ტოკენომიკაში ნახეთ ტოკენი განაწილდება შემდეგნაირად.

განაწილება:

10% ფირმას, რომელიც დაბლოკილი იქნება 5 წლის ვადით და ამ დროის გასვლის შემდეგ გაიყიდება ეტაპობრივად 9 %, რათა არ გამოიწვიოს რყევები და მოხმარდება მისიის განვითარებას და მაღალ საფეხურზე გადასვლას, ხოლო საბოლოოდ 1 % დარჩება ფირმას.

10 % დაერიცხება თანამშრომლებს და პარტნიორს და გაიყინება სამი წლის ვადით, ასევე აქტიური საზოგადოების წევრებს და გათამაშებებში გამოვლენილ გამარჯვებულებს საჩუქრად დაერიცხებათ ტოკენები, რომელიც არ გაიყინება.

80 % გაიყიდება, 70% ICO მეშვეობით 10 % ICO-ს დამთავრების შემდეგ დაილისტება დეცენტრალიზირებულ და ცენტრალიზირებულ ექსჩენჯერებზე, ასევე ისინიც რაც დარჩება ICO-ს ვადის გასვლის შემდეგ გასაყიდი, თუ დარჩა.

აქედან - BNB-ს

10 % გადაირიცხება საქველმოქმედო საფულეზე რომელიც გაიყიდება ეტაპობრივად და დაიხარჯება ქველმოქმედებაზე და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებზე რომელიც საზოგადოების დიგიტალურ და სამედიცინო განვითარებას შეუწყობს ხელს.

BNB-ს 10 % მოხმარდება მარკეტინგს

BNB-ს 10 % მოხმარდება ხელფასებს

BNB-ს 70 % მოხმარდება მისიის განხორციელებას.

მიუხედავად იმისა, რომ **DeFi**-ს დეცენტრალიზირებული ფინანსები-ის მთავარ პრინციპს მთლიანად ვერ ვაკმაყოფილებთ, რადგან „საქართველო ღვინის აკვანი“ არის საქართველოში რეგისტრირებული ფირმა, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ექვემდებარება ცენტრალიზებულ სისტემას, რაც აუცილებელია რეალურ სამყაროში არსებობისთვის და ბიზნეს საქმიანობისთვის. იმისთვის რომ **GCWine (GCW)** ტოკენი იყოს რაც შეიძლება დეცენტრალიზირებული როგორც **DeFi**-ის მთავარი პრინციპი „დეცენტრალიზება“,

ამისთვის გადავწყვიტეთ, რომ **99 %** ტოკენების გავანაწილოთ და გავყიდოთ რაც შეიძლება მეტ ადამიანზე და ფირმისთვის დატოვებული **10 %** -დან **9 %** გაიყიდება ეტაპობრივად და მხოლოდ **1 %** დარჩება ფირმას, რათა არ მოხდეს ჩვენი ტოკენის კუმულირება და ცენტრალიზება, რითაც გარკვეულწილად მაინც შესრულებული იქნას **DeFi**-ის მცნება.

**10 %** ტოკენებისა განაწილდება ყველა იმ ადამიანზე რომელიც რაიმე წვლილს შეიტანს ფირმის და ტოკენის განვითარებაში და გადარიცხვისას დაიბლოკება **3** წლის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ მათ მიეცემათ საშუალება გაყიდონ ტოკენები ან განახორციელონ ნებისმიერი ქმედება კანონის ფარგლებში, საევე აქტიური საზოგადოების წევრებს და გათამაშებებში გამოვლენილ გამარჯვებულებს საჩუქრად დაერიცხებათ ტოკენები, რომელიც არ გაიყინება. ეს იფუნქციონირებს მანამ, სანამ არ ამოიწურება ამ **10 %** ში არსებული ტოკენების რაოდენობა.

გადანაწილება მოხდება შემდეგნაირად:

**97 %** თანამშრომლებს და პარტნიორებს,

**3 %** აქტიური საზოგადოების წევრებს და გათამაშებებში გამოვლენილ გამარჯვებულებს.

ჩვენი მიზანებიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ, მთელი რაოდენობის **70 %** ის გაყიდვა **ICO** ს მეშვეობით, ხოლო დარჩენილი **10 %** **ICO**-ს დამთავრების შემდეგ დაილისტება ბაზარზე.

გაფრთხილებთ, **BNB** გადარიცხეთ მხოლოდ და მხოლოდ იმ საფულიდან, რომლის **PRIVATE KEY** პირად გასაღებს აკონტროლებთ, არავითარ შემთხვევაში არ გადარიცხოთ რომელიმე ექსჩენჯერიდან და ბაზრიდან, ეს გამოიწვევს თქვენი ტოკენების დაკარგვას, რაზეც ჩვენ ვიხსნით სრულ პასუხისმგებლობას და როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ამაზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ.

გაყიდვის პირველი ეტაპი ანუ პრივატსეილი დაიწყება საქართველოში და ედირება **0,000 000 000 000 000 1 BNB**

თითოეულ მსურველს შესაძლებლობა ექნება რეგისტრაციის გარეშე მაქსიმუმ **1 BNB** ოდენობით ტოკენების ყიდვა, ხოლო რეგისტრირებულ და ვერიფიცირებულ მომხმარებელს შეეძლება მაქსიმუმ **10 BNB** ოდენობით ტოკენების ყიდვა, იმ შემთხვევაში თუ არ მოხერხდა გაყიდვების დაწყებამდე ვერიფიკაციის კონფიგურირება ჩვენ ვებსაიტზე, მაქსიმუმ ერთი თვის განმავლობაში გაყიდვების დაწყების პირველად ეტაპიდან იქნება საშუალება მხოლოდ **1 BNB** ოდენობით

ყიდვა, სანამ ვერიფიკაცია დაემატება საიტს ხოლო დამატების მერე შეძლებთ შეიძინოთ **10 BNB**.

იმისთვის, რომ ყველამ შეძლოს შექმნა, მინიმალური რაოდენობის ყიდვა არ არის შეზღუდული, მაგრამ არ უნდა იყოს გადარიცხვის ღირებულებაზე ნაკლები, რათა თავად ბლოკჩაინმა არ გააუქმოს ტრანზაქცია. როგორც უკვე იცით და გაფრთხილებაში წაიკითხეთ კრიპტოში ინვესტირება არის ძალიან სარისკო საქმე, ჩვენ არ გირჩევთ და რეკომენდაციას არ გავცემთ დიდი თანხებით შემოხვიდეთ ჩვენს პროექტში, გაფრთხილებთ, რომ მხოლოდ ის თანხა გამოიყენეთ ტოკენის საყიდლად რისი დაკარგვისთვისაც მზად ხართ.

მაქსიმალური ყიდვის საზღვარი იმიტომ დავაწესეთ, რომ კრიპტო ვალებმა და დიდმა ინვესტორებმა არ მოახდინონ **GCWine (GCW)** ტოკენით მანიპულირება და რაც შეიძლება მეტ ადამიანზე გადანაწილდეს.

ჩვენი მიზანია ბევრ ადამიანს ჰქონდეს ცოტა რაოდენობის ტოკენი, ვიდრე ცოტა ადამიანს მრავალი რაოდენობის ტოკენი, ამიტომაც დავაწესეთ ყველასათვის მისაღები ფასი, რათა მსოფლიოს თითოეულმა მოქალაქემ ვისაც გააზრებული აქვს იცო-ში მონაწილეობის მიღება და რისკი შეძლოს მისი ყიდვა.

გაყიდვების დაწყებიდან **3** თვის შემდეგ დაიწყება ეგრეთ წოდებული პუბლიკ სეილი, და გაგრძელდება **1** წლის განმავლობაში.. პუბლიკ სეილის გასაყიდი ფასი იქნება **0,000 000 000 000 000 16 BNB**.

საჯარო გაყიდვების დაწყებისთანავე დავიწყებთ მასშტაბიან მსოფლიო მარკეტინგ კამპანიას.

იმ შემთხვევაში თუ ICO-ს მიმდინარეობის პერიოდში, რაც გათვლილია **15** თვეზე, არ გაიყიდა **70 %** მაგრამ წარმატებით განხორციელდა ICO და შემოსული თანხით დავიწყეთ მიზნების და გეგმების განხორციელება გარკვეული დროის განმავლობაში დროთა განმავლობაში ყველა დარჩენილი ტოკენი, რომლებიც განკუთვნილია გასაყიდად დაილისტება სხვადასხვა კრიპტო ბაზრებზე.

ასევე ხუთი წლის შემდეგ ეტაპობრივად გაიყიდება ფირმისთვის დატოვებული ტოკენები, მთლიანი რაოდენობის **9 %** და რათა ფირმის საბოლოო მფლობელობაში დარჩეს **1 %**.

## ქველმოქმედება

ყოველი გაყიდული ტოკენის საფასურად გადახდილი **BNB-ს 10%-ი** გადაირიცხება ავტომატურად საქველმოქმედო საფულეზე, საიდანაც დროდადრო გაიყიდება და მოხმარდება სხვადასხვა საქველმოქმედო საქმეებს და შემეცნებით პროექტებს.

„საქართველო ღვინის აკვანი“-ს დამაარსებლის აზრით, თითოეულ ადამიანს შეუძლია ნებისმიერი ფორმით სიკეთის კეთებაში თავისი მცირედი წვლილი შეიტანოს, ყველას უნდა იყოს ქველმოქმედი, მაგრამ ძალიან ცოტა თუ დგამს ამ ნაბიჯებს. ქველმოქმედება უნდა გავიაზროთ მხოლოდ როგორც კეთილი ნება, რომელსაც ან ჩაიდენ, ან არა, ეს თქვენს ნება სურვილზეა დამოკიდებული, ეს მხოლოდ გამოთქმული აზრია და არა ვინმეს დავალდებულება კეთილი საქმების კეთებაში.

თუ თქვენ თქვენივე გათვლილი რისკების ფასად გადაწყვიტეთ, რომ გასცეთ თქვენი ბლოკჩაინის ცოდნა და გასცეთ GCWine (GCW) ტოკენი საჩუქრად, ამ გზით მოახდენთ კრიპტოს პოპულიზებას და ასევე დაეხმარებით მათ ვისაც თქვენი დახმარება სჭირდება, ამით ჩვენ ერთად გავაძლიერებთ კრიპტო საზოგადოებას.

**10%** ით მოხდება ტოკენის პოპულიზება, რათა რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიგოს ჩვენი **GCWine (GCW)** ტოკენის შესახებ და შევდგეთ სხვადასხვა ურთიერთობებით ან ვირტუალურად დაკავშირებული ძლიერი საზოგადოება.

**10 %** მოხმარდება ფირმაში დასაქმებული პერსონალის ხელფასების გაცემას, სანამ ფირმის ბიზნესი ამას მოახერხებს.

და **70 %** მოხმარდება ფირმის მიზნების განხორციელებას, რისთვისაც საჭიროა სხვადასხვა პროცედურები, როგორცაა, შესაბამისი ლიცენზიების და ნებართვების მიღება, სასაწყობე ფართების ქირაობა, ღვინის იმპორტი და ექპორტი საზღვრებს გარეთ და სხვა პროცედურები, რომლიც დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან და ფირმის მიზნების მიღწევასთან.



- **ჩვენი ლინკები:**

1. <https://gcwine.io>

2. <https://bscscan.com/address/0xd28D5fb268ee98590092748d953e5Ea94BE0A1DE>

3. <https://bscscan.com/address/0x962bF40CEd11c86e530Ad47C501426bbFca6313A>

4. <https://www.facebook.com/profile.php?id=100085346490274>

5. <https://www.facebook.com/groups/gcwinegcw>

6. [https://twitter.com/GCWine\\_GCW](https://twitter.com/GCWine_GCW)

7. [https://www.instagram.com/gcwine\\_gcw/](https://www.instagram.com/gcwine_gcw/)

8. <https://www.reddit.com/user/GCW1111>

9. <https://discord.com/channels/991383871121801307/991383872812105799>

10. <https://t.me/GCWineGCW>

11. <https://www.tiktok.com/@gcwinegcw>

12. [https://www.youtube.com/channel/UCLJA\\_0ACIWJs49f419Xau4w](https://www.youtube.com/channel/UCLJA_0ACIWJs49f419Xau4w)

## დასკვნა

ბლოკჩაინი არის მომავლის ტექნოლოგია, რომელსაც განვითარება და ხელის შეწყობა სჭრდება, ამის ერთ ერთი საუკეთესო საშუალებაა რეალურ ბიზნესში მისი ინტეგრირება. ჩვენ გვჯერა, იმ წარმატების ფორმულის, რომელიც მიზნად დავისახეთ და გვჯერა, რომ თითოეული თქვენგანი გახდება ამ წარმატების ნაწილი და თქვენი დანხარებით შევძლებთ დავანახოთ ფართო საზოგადოებას, რომ ბლოკჩაინის ტექნოლოგიები და კრიპტო გადახდები-ტრანზაქციები გახდეს უფრო ხელმისაწვდომი, კომფორტული და სანდო.